მატჩი მოსკოვში

მოსკოვი (ტელეფონით).

მოსკოვის "სპარტაკისა" და თბილისის "დინამოს" მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია დედაქალაქის ფეხბურთის მოყვარულთა შორის. მაყურებელთა იმედი გამართლდა. პირველიდან უკანასკნელ წუთამდე მატჩი დაძაბულად მიმდინარეობდა და დამარცხების მიუხედავად დინამოელებმა აჩვენეს შესანიშნავი თამაში.

მატჩის პირველი ნახევრის მე-12 წუთზე ნეტომ გახსნა ანგარიში, მაგრამ შუა ტაიმში (24-ე წუთზე) მესხის მოწოდებიდან კალოევმა თავური დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. თბილისელთა შეუნელებელი იერიშები გრძელდებოდა დიდხანს და მელაშვილმა მოულოდნელი, ძლიერი დარტყმით წინ გაიყვანა "დინამო" _ 2:1. შესვენებამდე ორი წუთით ადრე ჰუსაინოვმა კვლავ გაათანაბრა ანგარიში _ 2:2.

შესვენების შემდეგ, მატჩის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე, ისაევმა გაიტანა გადამწყვეტი გოლი, რამაც გამარჯვება მოუტანა "სპარტაკს" _ 3:2.

"ლელო", 27 სექტემბერი, 1961 წ.